



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011781954570321

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 98230

09 / მარტი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882020742831-09 (30.12.2020 წ.), № 882020742813-09 (30.12.2020 წ.), № 882021066041-03 (09.02.2021 წ.), № 882021108987-03 (22.02.2021 წ.) და ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ № 882021108959-03 (17.02.2021 წ.) გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

**I. აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ფაქტობრივი დასაბუთება**

**1.1.** საჯარო რეესტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131 და საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882020742831-09 (30.12.2020 წ.), № 882020742813-09 (30.12.2020 წ.), № 882021066041-03 (09.02.2021 წ.), № 882021108987-03 (22.02.2021 წ.) და ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ № 882021108959-03 (17.02.2021 წ.) გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის მიზნით:

**1.1.1.** ნატო ქალდანის (პირადი ნომერი 10001006969) №94918/17 (01.03.2021 წ.) განცხადება-საჩივარში არ არის დაზუსტებული იმ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (თარიღები და ნომრები), რომელსაც (რომლებსაც) ასაჩივრებს ნატო ქალდანი (პირადი ნომერი 10001006969), მაგრამ რეგისტრირებული სუბიექტის პირადი ნომრის (გურამ ქალდანი - პირადი ნომერი 10001045898) და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში არსებული უძრავი ნივთების/ნაკვეთების ნომრების (№ 086 და № 131) საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერებთან ურთიერთშეჯერებით გამოიკვეთა, რომ ნატო ქალდანი (პირადი ნომერი 10001006969) სადავოდ მიიჩნევს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131 და საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) განხორციელებულ რეგისტრაციებს.

**1.1.2.** ნატო ქალდანის (პირადი ნომერი 10001006969) განმარტებით, ის არის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მცხოვრები თამარა ქალდანის (პირადი ნომერი 10001042656) შვილი და მისი კომლის წევრი, თამარა ქალდანის კომლის სახელზე არსებული უძრავი ქონება (ნაკვეთის № 086 და № 131) უკანონო გზით და საჯარო რეესტრის შეცდომაში შეყვანით მიითვისა გურამ (თენგიზ) ქალდანმა (პირადი ნომერი 10001045898), რადგან ის გასული იყო თამარა ქალდანის კომლიდან და მას თამარა ქალდანის უძრავი ნივთების რეგისტრაციის უფლება არ ჰქონდა. მან ასევე, 2012 წლებში თამარა ქალდანის კომლზე რიცხული უძრავი ქონება უკანონოდ და თალღითური გზით მისააკუთრა, მაგრამ სახელმწიფომ ეს რეგისტრაციები ბათილად ცნო. მისი განმარტებით, კომლის წევრებს კომლის ქონება გურამ (თენგიზ) ქალდანისთვის (პირადი ნომერი 10001045898) არ გადაუციათ.

**1.1.3.** ადმინისტრაციულ საჩივარს თანდართულია სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქვემო ქართლის რეგიონული არქივის № AA2021000861-03 (02.02.2021 წ.) საარქივო ცნობის ასლი (საკომლო წიგნიდან ამონარედავების ასლებით), რომელშიც მითითებულია, რომ ქვემო ქართლის რეგიონულ არქივში დაკულ, ბოლნისის რაიონის ტანძიის საკრებულოს სოფელ ტანძიის 1986-1990 წლები საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩანერილია „ტამარა ვასილის ასული კალდანი“ და მისი კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ნატო ასტემირის ასული კალდანი - შვილი, გურამ ასტემირის ძე ქალდანი - შვილი, ასტემირ ნუგზარის ძე ქალდანი - შვილიშვილი. ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის შესახებ მონაცემები ამ წლების საკომლო წიგნში არ არის შეტანილი. 1996-2000 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩანერილია თამარა ვასილის ასული ქალდანი და მისი კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ნატო ასტემირის ასული ქალდანი - შვილი (ჩანაწერით „დრ. ნავიდა“), კახა ნუგზარის ძე ქალდანი - შვილი, გურამ „ჩანაწერი „თენგიზ“ ფრჩხილითა ჩასმული“ ასტემირის ძე ქალდანი - შვილი (გადახაზულია, ჩანაწერით „გადავიდა სხვა კომლში“), ლელა აითბეს ასული გულედანი - რძალი (გადახაზულია, ჩანაწერით „გადავიდა სხვა კომლში“), შავლეგ გურამის ძე ქალდანი - შვილიშვილი (გადახაზულია, ჩანაწერით „გადავიდა სხვა კომლში“), თამარ გურამის ასული ქალდანი - შვილიშვილი (გადახაზულია, ჩანაწერით „გადავიდა სხვა კომლში“). კომლს 1996-1997 წლებში ერიცხება 0.63 ჰა მიწის ფართობი (1998-2012 წლის მონაცემები არ არის), საცხოვრებელი სახლის შესახებ მონაცემები ამ წლების საკომლო წიგნში შეტანილი არ არის.

1.2. რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882020742831-09 (30.12.2020 წ.) გადაწყვეტილებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131) დარეგისტრირდა გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) საკუთრების უფლება და მიეთითა ჩანაწერი „თანამესაკუთრის“ შესახებ.

1.3. რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882020742813-09 (30.12.2020 წ.) გადაწყვეტილებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) დარეგისტრირდა გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) საკუთრების უფლება და მიეთითა ჩანაწერი „თანამესაკუთრის“ შესახებ.

1.4. ამასთან, № 882020742831 (08.10.2020 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე დამატებით, 2020 წლის 21 ოქტომბერს ქვემო ქართლის რეგიონულ ოფისში წარდგენილი გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) განცხადებით, მან საკუთრების უფლების რეგისტრაციები მოითხოვა უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდები 80.11.01.086 და 80.11.02.131) ადგილმდებარეობის დადასტურებით.

1.5. გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) № 882017322507 (24.04.2017 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე მოძიებული სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქვემო ქართლის რეგიონული არქივის №15/59880 (16.05.2017 წ.) საარქივო ცნობის თანახმად, ქვემო ქართლის რეგიონულ ოფისს ეცნობა, რომ ქვემო ქართლის რეგიონულ არქივში დაცულ ბოლნისის რაიონის ტანძიას სასოფლო საბჭოს სოფელ ტანძიას 1986-1990 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩანერილია თამარა ვასილის ას ქალღანი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: შვილი - ნათ ასტემირის ას ქალღანი, შვილი - გურამი ასტემირის ძე ქალღანი, შვილი - კახა ნუგზარის ძე ქალღანი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1990 წელს 0.60 ჰა მიწის ნაკვეთი (1986-1989, 1991-1996 წლების მონაცემები არ იკვეთება), საცხოვრებელი სახლის შესახებ მონაცემი აღნიშნული წლების საკომლო წიგნებში შეტანილი არ არის. 1986-1990 წლების საკომლო წიგნებში გურამი ასტემირის ძე ქალღანი კომლის უფროსად არ იძებნება. 1996-2000 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩანერილია გურამი ასტემირის ძე ქალღანი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ცოლი - ლელა აითბეს ასული გულედანი, შვილი - შავლეგი გურამის ძე ქალღანი, შვილი - თამარი გურამის ას. ქალღანი, შვილი - მარიამი გურამის ას. ქალღანი. ინფორმაცია კომლის პირად საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შესახებ აღნიშნული წლების საკომლო წიგნებში შეტანილი არ არის.

1.6. №882020742831 (08.10.2020 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის მიერ მოძიებული ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის № 11/7929 (24.12.2020 წ.) პასუხის მიხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაადასტურა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე, სარეგისტრაციოდ წარდგენილი (განცხადების № 882020742831) უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და საკადასტრო მონაცემების შესწავლით, ასევე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების № 00017 ოქმით დასტურდება, რომ წარდგენილი საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზში ასახული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა იდენტურია და შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტს, რომელიც მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში და წარმოადგენს 2960 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს.

1.6.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის № 11/7929 (24.12.2020 წ.) პასუხს თანდართულ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების № 00017 ოქმში უძრავი ნივთის მესაკუთრედ/მოსარგებლედ მითითებულია გურამ ქალღანი (პირადი ნომერი 10001045898), უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტად მითითებულია - მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი № 23812/2000 და, აღნიშნულია, რომ ამ ოქმში ასახულ პირთა მიერ მოხდა ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთი არის იდენტური.

1.7. №882020742813 (08.10.2020 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის მიერ მოძიებული ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის № 11/7928 (24.12.2020 წ.) პასუხის მიხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაადასტურა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე, სარეგისტრაციოდ წარდგენილი (განცხადების № 882020742813) უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და საკადასტრო მონაცემების შესწავლით, ასევე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების № 00018 ოქმით დასტურდება, რომ წარდგენილი საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზში ასახული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა იდენტურია და შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტს, რომელიც მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში და წარმოადგენს 4010 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს.

1.7.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის № 11/7928 (24.12.2020 წ.) პასუხს თანდართულ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების № 00018 ოქმში უძრავი ნივთის მესაკუთრედ/მოსარგებლედ მითითებულია გურამ ქალღანი (პირადი ნომერი 10001045898), უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტად მითითებულია - მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი № 8484/00 და, აღნიშნულია, რომ ამ ოქმში ასახულ პირთა მიერ მოხდა ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ გურამ ქალღანის (პირადი ნომერი 10001045898) მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთი არის იდენტური.

1.8. ამასთან, ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთებზე განხორციელებულია ცვლილების რეგისტრაციები (რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882021066041-03 (09.02.2021 წ.), №882021108987-03 (22.02.2021 წ.) და ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ №882021108959-03 (17.02.2021 წ.)) და უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131) რეგისტრირებული უფლებაში და №882021066041 ამონაწერში ¼ ნაწილის მესაკუთრედ მიეთითა გურამ ქალღანი (პირადი ნომერი 10001045898), ¼ ნაწილის მესაკუთრედ - თამარ ქალღანი (პირადი ნომერი 10001071092), ¼ ნაწილის მესაკუთრედ - ლელა

გულედანი (პირადი ნომერი 10001039674), ¼ ნაწილის მესაკუთრედ - შავლეგ ქალდანი (პირადი ნომერი 10001071090), ასევე, მარიამ ქალდანი (პირადი ნომერი 10650001803), ხოლო უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) რეგისტრირებულ უფლებაში და №882021108987 ამონაწერში ¼ ნაწილის მესაკუთრედ მიეთითა გურამ ქალდანი (პირადი ნომერი 10001045898), ¼ ნაწილის მესაკუთრედ - თამარ ქალდანი (პირადი ნომერი 10001071092), ¼ ნაწილის მესაკუთრედ - ლელა გულედანი (პირადი ნომერი 10001039674) და ¼ ნაწილის მესაკუთრედ - შავლეგ ქალდანი (პირადი ნომერი 10001071090).

1.9. მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება, რომ ნატო ქალდანის (პირადი ნომერი 10001006969) № 94918/17 (01.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივარს თანდართულ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქვემო ქართლის რეგიონული არქივის № AA2021000861-03 (02.02.2021 წ.) საარქივო ცნობის ასლში ასახული მინის რეფორმის ეტაპის (1996-2000 წლები) მონაცემები და გურამ ქალდანის (პირადი ნომერი 10001045898) № 882017322507 (24.04.2017 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე მოძიებული სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქვემო ქართლის რეგიონული არქივის №15/59880 (16.05.2017 წ.) საარქივო ცნობაში ასახული მინის რეფორმის ეტაპის (1996-2000 წლები) მონაცემები არ შეესაბამება ერთმანეთს, მაგრამ რადგან ორთავე საკომლო ჩანაწერის 1986-1990 წლების გათვალისწინებით, მითითებულია, რომ საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩანწერილია „ტამარა ვასილის ასული კალდანი“/„ტამარა ვასილის ას ქალდანი“, მიზანშეწონილია ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131 და საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) განხორციელებულ, ამ გადაწყვეტილების 1.1 პუნქტში ასახულ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის მიზნით.

## II. სამოტივაციო ნაწილი

### 2. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სამართლებრივი დასაბუთება

2.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

2.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანაწილადმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2.4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, 60<sup>1</sup> და 61-ე მუხლების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არარად აღიაროს, ბათილად ცნოს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2.5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

2.6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2.7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს.

2.8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობა არ აჩერებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას.

## III. სარეზოლუციო ნაწილი

მმართველობის სფეროში კანონიერების, მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვისა და ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 60<sup>1</sup> მუხლების, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის საფუძველზე,

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში მდებარე უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131 და საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) რეგისტრაციის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის № 882020742831-09 (30.12.2020 წ.), № 882020742813-09 (30.12.2020 წ.), № 882021066041-03 (09.02.2021 წ.), № 882021108987-03 (22.02.2021 წ.) და ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ № 882021108959-03 (17.02.2021 წ.) გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის მიზნით.

2. ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდი 80.11.61.067, წინა ნომერი 80.11.02.131 და საკადასტრო კოდი 80.11.61.046, წინა ნომერი 80.11.01.086) განხორციელებული რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, ასევე, უფლების (გარდა საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია.

3. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი, გურამ ქალდანი (პირადი ნომერი 10001045898), თამარ ქალდანი (პირადი ნომერი 10001071092), ლელა გულედანი (პირადი ნომერი 10001039674), შავლეგ ქალდანი (პირადი ნომერი 10001071090).

4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.

5. წინამდებარე გადაწყვეტილება და №94918/17 (01.03.2021 წ.) განცხადება-საჩივრის ასლები გადაეგზავნოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს.


6. დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2), ბოლნისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 111ა) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციების წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე